საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების.)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

შაბათი, 9 ნოემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში; თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 89 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 89

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ორი შესაძლებლობა.

ჩვენ უკვე საკმაო სიცხადით აღვნიშნეთ, რომ ქემალისტების მოძრაობა ოსმალეთში—ეს ნაციონალური მოძრაობაა ანტანტის ულიერი პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული. ის მიზნათ ისახავს განდევნოს ანტანტა სტამბოლიდან და შეუქმნას ოსმალეთს პირობები თავისუფალი განვითარებისა.

რასაკვირველია, ანტანტა არაფერს არ დაერიდება, რომ ქემალისტების წინააღმდეგ მოკავშირე იშოვოს და მისი ხელით ქემალისტების მოძრაობა შემუსროს. ასეთ უგუნურ იარაღს წარმოადგენენ დღეს დაშნაკელები ანტანტის ხელში.

მაგრამ არის საქმის მეორე მხარე, რომელიც არასოდეს არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან. თუ ანტანტამ შეატყო, რომ ქემალისტების მოძრაობა საკმაოთ ძლიერია და არსებული ძალებით მისი დაძლევა საეჭვოა, ის უეჭველათ იცვლის ფრონტს და შეურიგებლობის პოზიციიდან შეთანხმება-მორიგების პოზიციაზე გადავა. ის ადვილათ გასწირავს დღევანდელ მის მოკავშირეებს, მის ბრმა იარაღათ გადაქცეულ ძალებს და შეეცდება ახლა ქემალისტების მოძრაობა გამოიყენოს თავისი მიზნებისათვის. ის შეეცდება შერყვნას ეს მოძრაობა და თავისი გავლენის ქვეშ დააყენოს იგი, რომ ამით მაინც კიდევ თავის მიზნებს მიაღწიოს მცირე აზიაში.

აბსოლიუტურათ შეუძლებელი აქ არაფერია. რაც გინდ ძლიერ რევოლიუციონურ ნაკადს წარმოადგენდეს ქემალისტების მოძრაობა, ის არ შეიძლება უზრუნველყოფილათ ჩაითვალოს გარეშე, გამათახსირებელ გავლენისგან, მეტადრე თუ მივიღებთ მხედველობაში ოსმალეთის საერთო მდგომარეობას. მისი ჩამორჩენილი მეურნეობა და მასზე აშენებული ტირანია ჯერ საკმარის ძლიერია, რომ დიდ გავლენიანათ ვიგულოთ გაბატონებული წრეები, რომლებიც თვალ-დაუფარავათ გაყიდიან მთელ ხალხს თავისი პირადი ინტერესებისათვის. თუ კი პოლონეთი მისი განვითარებული პროლეტარიატით რუსეთის ჯალათათ გადააქცია ანტანტამ, რა გასაკვირველი იქნება, თუ ახლათ ფეხ-ადგმული ნაციონალური მოძრაობა ოსმალეთის თავისი კალაპოტიდან ამოაგდოს იმავე ანტანტამ და იგი ან მარტოთ მარტო ან რომელიმე მეორე ძალასთან ერთათ გახადოს თავისი ინტერესების აგენტათ როგორც მცირე აზიაში, ისე ამიერ-კავკასიაში.

განა ძნელი წარმოსადგენია, რომ ოსმალეთის ნაციონალური მოძრაობა სხვა და სხვა კომბინაციების და მახინაციების წყალობით ხელში ჩაუვარდეს იმ ბნელ ელემენტებს, რომელთაც ერთხელ უკვე გადიჯირგალეს მთელ ამიერ-კავკასიაზე და სხვათა მჩაგვრელთა შორის ცეცხლსა და მახვილს მისცეს ქალაქი ბაქო? ის პანისლამისტური ტენდენციები, რომლებიც ასე აშინებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მმართველ წრეებს, სწორეთ ანტანტის მიერ იქნება საუცხოვოთ გამოყენებული მისი ბნელი ზრახვების განსახორციელებლათ.

ეს ზრახვები და სურვილები საბოლოვოთ მდგომარეობს საბჭოთა რუსეთის ძალისა და გავლენის განადგურებაში. რაკი ამ მიზანს მიაღწევს, ის გამოწურული ლიმონივით მოისვრის შორს ყველა მის დღევანდელ და მოსალოდნელ პატარა მოკავშირეებს.

აქედან გამომდინარეობს ერთად-ერთი დასკვნა, რომელზედაც არა-ერთხელ ვუთითებდით ჩვენს გაზეთში. რამდენათაც ქემალისტების მოძრაობა მიზნათ ისახავს ოსმალეთის განთავისუფლებას და მიმართულია ანტანტის წინააღმდეგ, ის უეჭველათ პროგრესიული მოვლენაა და ღირსია ყოველგვარი თანაგრძნობისა. რამდენათაც ის ამ გზას სცილდება და ოსმალეთის გაბატონებული კლასების გავლენით მიზნათ ისახავს მეზობელ ქვეყნების დაპყრობას, ან რამდენათაც ის, შესაძლოა, ხელში ჩაუვარდეს ანტანტას და გამოყენებულ იქნას, როგორც ბრმა იარაღი მსოფლიო იმპერიალისტებისა, იმდენათ ეს მოძრაობა დაკარგავს თავის განმათავისუფლებელი ბრძოლის შინაარსს და მიემატება მსოფლიო რეაქციის ძალებს. რევოლიუციონური პარტიის მოვალეობაა ხელი შეუწყოს პირველ შესაძლებლობას და მთელი ძალღონით შეებრძოლოს მეორეს.

## კომუნისტების ახალი გამარჯვება საფრანგეთში.

კომუნისტური ინტერნაციონალის კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება... ამ ჟამათ საფრანგეთში!

სოციალისტური პარტიის კონგრესმა, რომელიც გაკვრით მქონდა მოხსენებული ჩემ წერილში მესამე ინტერნაციონალის შესახებ საფრანგეთში, ამის დიდი უმრავლესობით (376 წინააღმდეგ 83-სა) გადასწყვიტა, შეუერთდეს მესამე ინტერნაციონალს. ამნაირად გერმანიის დამოუკიდებელთა პარტიის შემდეგ მას ემატება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არმია, რომელმაც დიდი როლი უნდა ითამაშოს ახლო-მომავალში საფრანგეთში იმ საერთო პოლიტიკის გამო, რომელსაც აწარმოებს დღემდი რესპუბლიკის მთავრობა რუსეთის საკითხში.

თვით ფაქტი კომუნისტების გამარჯვებისა ეგრედ წოდებულ შეერთებულ სოციალისტურ პარტიაში ძვირფასად საგულისხმოა.

გარდა ამისა, რომ ის კიდევ უფრო ამაგრებს კომუნისტური ინტერნაციონალის საერთაშორისო პრესტიჟს და პირიქით ლახვარს სცემს ყვითელი ინტერნაციონალის გავლენას საფრანგეთის სოციალისტურ პარტიულ წრეებში—ის მოასწავებელია კიდევ იმ ძლიერი კამპანიის დამარცხების, რომელსაც უწევდა „ტანის" ხელმძღვანელობით მთელი საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა პარტიის წინააღმდეგ. ვეღარ გასჭრა ვერც უხეიროთ დამალულმა მუქარამ, ვეღარც დიდმნიშვნელოვანმა გაფრთხილებამ, რომელსაც ბურჟუაზია აძლევდა პარტიის ხელმძღვანელებს იმის შესახებ, რომ მოსკოვის ინტერნაციონალის პირობების მიღება იქნება მომასწავებელი საფრანგეთის სოციალისტების დამონებისა მოსკოვის მიერ, რომ ეს იქნება ლენინის რკინის დისციპლინის მუხრუჭში მთელი პარტიის მოქცევა და მისი პოლიტიკური არარაობათ ქცევა, თითქოს ძალიან საჭიროა ყოფილიყოს „ტანის" ბატონ-პატრონებისათვის ძლიერი მუშათა რევოლიუციონური პარტია. პირიქით, მათი სურვილი იყო წინააღმდეგი გადაწყვეტილების გამოტანით, რამდენიმეთ მაინც კიდევ ხელში შეენარჩუნებიათ სოციალისტური პარტიების ის ნაღავი, რომელიც მათ მაგრათ იგდეს ხელში „სამშობლოს დაცვის" დროს და ნელ-ნელა ისხლტება ან აქა-იქ უკვე გაუსხლტათ ხელიდან.

კონგრესის გადაწყვეტილება მოასწავებს იმ ატმოსფერის გაფანტვასაც, რომლის გამაგრებას სცდილობდა პარტიაში რენოდელის კომპანია: ან ჟორესი ან ლენინი—ასეთი იყო არჩევანი, რომელსაც უყენებდენ ისინი პარტიულ მასებს და რომელიც რამოდენიმეთ ნაციონალისტური სენტიმენტალიზმით შეიქმნა მათ ხელში შეზავებული, როგორც ეტყობა ვერც ამან გასჭრა.

მაგრამ არის კიდევ ერთი დიდათ მნიშვნელოვანი მომენტი კონგრესის გადაწყვეტილებაში და ამითაც სხვათა შორის ის უახლოვდება გერმანიის დამოუკიდებელთა გადაწყვეტილებას.

ორივე შემთხვევაში სასტიკათ დამარცხდენ სოციალისტური „ცენტრები", როგორც გერმანიაში ისე საფრანგეთში, ე. ი. ის მიმდინარეობა მუშათა პოლიტიკურ ორგანიზაციაში, რომელიც ჩვენ მიგვაჩნია ყველაზე უფრო მავნებლათ. თუ ამასთანავე მივიღებთ მხედველობაში, რომ არსებითად იგივე ბედი ეწვია „ცენტრს" იტალიაშიაც, მე მგონია, რომ შესაძლებელია რამოდენიმეთ განზოგადოთ მოვლენა და ვთქვათ, რომ ცენტრის დასასრულის დასაწყისი დაიწყო ევროპის სოციალისტურ პარტიებში და მას ველარაფერი შეაჩერებს.

დასასრულ მე ნებას მივსცემ თავს ამ შემთხვევის გამო მოვიხსენიო მენშევიკური პრესა.

თავის გაზეთებში ისინი იძლევიან ფართო ინფორმაციას საზღვარგარეთის პარტიულ ცხოვრებისას, მარა ისეთ ნაირათ შეზავებულს, რომ მკითხველს, რომელიც იძულებულია ამ ინფორმაციით დაკმაყოფილდეს, ეძლევა სრულიათ ცალმხრივი წარმოდგენა ამ პარტიებში მებრძოლ ძალთა განწყობილების შესახებ. მათი გაზეთების, განსაკუთრებით „ბორბა"-ს სათანადო ქრონიკა სჭარბობს ცნობებით, რომლებიც მაჩვენებელია ყველა მიმდინარეობათა გავლენის, მარა კრინტს არ ძრავენ თითქმის ეგრედ წოდებულ ექსტრემისტულ ფრაქციების შესახებ. ამნაირი მასალით „გატენილი" მკითხველი ერთ მშვენიერ დღეს ალბათ გაკვირვებით კითხულობს რომელიმე რადიოს იმის შესახებ, რომ ამა და იმ პარტიაში გაიმარჯვა კომუნისტებმა და დამარცხდენ ყველა ისინი, რომელთა შესახებ მას ასეთ მდიდარ „ინფორმაციას" აწვდიდა გაზეთი.

ასე ეპყრობა მენშევიკურ გაზეთებს გერმანიის დამოუკიდებელთა შესახებ და იგივე ბედი ეწია დღეს საფრანგეთის სოციალისტების მაგალითზე.

მე მგონია, რომ მენშევიკური მკითხველების გამოფხიზლებას ხელს შეუწყობენ ხსენებულ ორს გარდა სხვა მაგალითებიც.

კ. კრედო.

## ჩვენი პარტია.

### ჩვენ ხალხს დავშორდით.

(დასასრული. იხ. „ახ. კომ." № 87)

ამ მწარეთ მოსაგონარმა „ცდამ" ჩვენ შემდეგი გვასწავლა, თუმცა ეს ჩვენ წინათაც უნდა გვცოდნოდა:

პარტია, რომელიც მოწყვეტილია ადგილობრივ მცხოვრებთა მასსას, რომელსაც ლეგალურ ასპარეზზე საზოგადოებრივი ორგანოები ვერ გამოუყენებია, ასეთი პარტია, ცხადია, აჯანყებას ხელმძღვანელობას ვერ გაუწევს—და რაგინდ ხელსაყრელ პირობებში ხდებოდეს ეს აჯანყება, ამ პარტიის გამარჯვებით ვერ დასრულდება.

ეს კარგათ იცოდა ჩვენმა მენშევიკურმა მთავრობამ და კარგათ გამოიყენა მან ეს ცოდნა! მან ახლაც კარგათ იცის, რომ, თუ კომუნისტებმა საქართველოში ხალხთან დაკავშირდა, ხალხზე გავლენის მოპოება შესძლეს, მისი აღსასრულის დღე დადგება. აქედან მას შესაფერი დასკვნები გამოყავს და შესაფერად მოქმედებს.

ჩვენ კი, თვით ჩვენს საკუთარ ადგილობრივ ნიადაგზე აშკარა, თვალსაჩინო, მარა მწარე გაკვეთილების მიღების შემდეგ თითქო გამოვფხიზლდით, თითქო მივხვდით ჩვენს შეცდომებს, მაგრამ აშკარათ უნდა ვაღიაროთ, რომ დღემდე „საზავო ხელშეკრულებით" საფუძვლებს ვერ გავშორდით და მთელი ჩვენი იმედი მხოლოთ ამ საფუძველს ემყარება.

დღემდე ჩვენ ნათლათ არა გვაქვს გათვალისწინებული, თუ რა მოგვცა ამ „საზავო ხელშეკრულებამ", თუ როგორ გამოვიყენეთ ის ჩვენ და რითი გათავდა ეს „გამოყენება".

დღეს კი, ამას მომენტი დაჟინებით მოითხოვს, გარკვევით და აშკარათ ითქვას ჩვენი პასუხი ყველა ამ კითხვებზე.

„საზავო ხელშეკრულებამ" შეჰქმნა ჩვენთვის შესაძლებლობა, რომ ჩვენი პარტიული ძალები, რომლებიც წინათ ციხეებში იყვნენ მომწყვდეულნი, მომავალი გადამწყვეტი ბრძოლისთვის გამოგვეყენებია და ამ მიზნით ყველა ზემოთ დასახელებული შეცდომები თავიდან აგვეშორებია.

თვით საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობამ ჩვენ მიგვითითა ამ ჩვენი შეცდომის გამოსწორების გზაზე და ჩაგვაყენა ისეთ ბუნებრივ პირობებში, რომლებსაც ჩვენ მსწრაფლ უნდა შევგუებოდით და მთელი ჩვენი ტაქტიკა—ორგანიზაცია „მოცემულ" ადგილობრივ საფუძველზე აგვეგო.

და ყოველივე ეს „კრაევკომის" ალაგას ნამდვილი (და არა „ფიქტიური") ძლიერი—„საქართველოს კომუნისტური პარტიის" დაარსებით უნდა დაგვირგვინებულიყო.

ჩვენ რუსეთის დიდი რევოლიუციის მსვლელობაში „საზავო ხელშეკრულებით" მეორეთ მოგვეცა შემთხვევა, რომ ნამდვილი დამოუკიდებელი მასიური კომუნისტური პარტია გავეხდარიყავით, მარა ჩვენ ისევ ძველებურათვე ავცდით სწორ გზას, ხალხთან დაახლოვების გზას და ჩვენი უტაქტობა—უხერხულობის წყალობით ჩვენ მენშევიკური მთავრობის პროვოკაციულ მახეში გავყავით თავი.

მთავრობა მოიქცა ისე, როგორც ყოველი ბურჟუაზიული მთავრობა მოიქცეოდა: ერთი მხრით მან ხალხი დააშინა და უბრძანა მას: „ბოლშევიკები არ გაიკაროთ". ხოლო მეორე მხრით ჩვენ მოგვცა წინადადება: „თუ ციხეში ხელახლა ჯდომა არ გნებავთ, რუსეთში ან ბაქოში მიბრძანდითო".

მასსა დაფრთხა, პარტიას ჩამოშორდა, ხოლო ჩვენ ციხეში ჯდომის თავიდან აშორება სხვაფრივ აღარ მოგვიხერხდა, თუ არა ხალხზე ჩამოშორებით ანდა რუსეთ-ბაქოში გადახახლებით, რაც ისე გულით სწადდა და სწადია ჩვენს მთავრობას.

ყოველივე ამას დღეს ყოველი ჩვენგანი ამჩნევს და ამხ. ბახტიარიც და გადამთიელიც კარგათ გვიწერენ და კარგათაც გრძნობენ.

დღეს ჩვენი პარტია მათივე მოწმობით პარტია აღარ არის, ის მხოლოთ „წრე და ჯგუფი" გამხდარა და შემდეგი დილემის წინაშე დამდგარა: ან სულ გაქრობა, საქართველოს ასპარეზიდან გაცლა, ანდა ხელახლა გამოცოცხლება, კვლავ ამოძრავება და „ქვეყნისთვის საგრძნობ ძალათ, პოლიტიკურ პარტიათ გადაქცევა".

აი როგორ დგას კითხვა!

რ. ქ.

## ბიულეტენი პრესბიუროსი

### რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

(რადიოთი მოსკოვიდან, ნაუენიდან, ლიონიდან და სხვ. და პირდაპირი მავთულით კავკავიდან და ბაქოიდან).

### საზღვარ-გარეთ

**საფრანგეთ-ინგლის-იტალიის ხელშეკრულება ანატოლიის შესახებ.**

**ლიონი**, 7 ნოემბ. (რადიო). „ტან"-ს მოყავს ტექსტი ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც შეეხება მცირე აზიის დანაწილების საკითხს და სხვა მრავალ საქმეებს, რომელიც გამომდინარეობს სევრსკის ხელშეკრულებიდან.

**გრანდინგი და ხალხთა ლიგა.**

**ლიონი**, 7 ნოემბ. (რადიო). გრანდინგმა განაცხადა, რომ ის ისევ არის ხალხთა ლიგის წინააღმდეგი. ამერიკის ახალი მთავრობა მოუწოდებს ხალხებს შემოკრბენ ხალხთა ლიგის გარეშე და არ დაარღვიონ ამერიკის თავისუფლება.

**ხორბალი გერმანიისათვის.**

**ნაუენი**, 7 ნოემბ. (რადიო). ფინანსთა მინისტრმა გერმანიის რეიხსტაგში შეიტანა პროექტი, რათა საზღვარ გარეთ იყიდონ რამოდენიმე მილიონი მარკის ხორბალი.

**გერმანიის ნახშირზე მომუშავეთა შორის.**

**ნაუენი**, 7 ნოემბ. (რადიო). „პოპულერ"-ი იტყობინება, რომ საზღვარ-გარეთის პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენლები, რომლებმაც შემოიარეს რურის ოლქი, ძალიან შეწუხებული არიან გერმანიის მუშების და მენახშირეების აუტანელ მდგომარეობის გამო.

**მონარქია უნგრეთში.**

**პეტერბურგი**, 3 ნოემ. (რადიო მოსკოვიდან). უნგრეთის ნაციონალურმა კრებამ დაადგინა შემოიღონ მონარქიული მმართველობა.

**საბერძნეთის არმიის დემობილიზაცია.**

**კონსტანტინოპოლი**, 20 ოქტ. გაზეთი „ჰელერი", იტყობინება:

„საბერძნეთის გაზეთები, სარწმუნო წყაროებიდგან იტყობინებიან, რომ შეტევის გათავების გამო, ახლო მომავალში დაიწყება საბერძნეთის არმიის იმ ნაწილის დემობილიზაცია, რომელიც ანატოლიაში იმყოფება.

**ახალი პარტია**

**კონსტანტინოპოლი**, 23 ოქტ. „ტასვირი-ეფქიარის" ცნობით, ანგორაში, იუმის-ადის თავჯდომარეობით შედგა ახალი რადიკალური, სოციალისტური პარტია. გაზეთი „ენი-გიუნ"-ი იქნება ამ პარტიის ორგანო.

**ახალი კაბინეტის ამოცანები**

**კონსტანტინოპოლი**, 23 ოქტ. გაზეთი „[illegible]" სწერს: „პირველად ყოველ-

სა ახალი კაბინეტი უნდა დაუახლოვდეს ქემალისტებს, უნდა შეუთანხმდეს მას რამეში, მაგრამ არას შემთხვაში არ უნდა შეიქმნეს მისი მოკავშირე. აუცილებელია რაც არ უნდა მოხდეს შევკრათ ზავი, როგორც შინაურ ისე გარეშე მტრებთან.

ფერიდ ფაშას მართველობას ცუდი საქმე მოუვიდა. ის არ იყო „ხალხის არჩეული". ის ლებულობდა „სასტიკ ზომებს", არ უწევდა ანგარიშს არც ხალხს და არც მის შეხედულებას. მაგრამ მაინც თავის ქვეყანას მან დიდი პატივი სცა. ერთხელ და სამუდამოთ მან შეაკვეცია ფრთები „ახალგაზრდა თურქებს", რასაც თვით არ ფიქრობდა მან გაუღო კარები შეთანხმებას. ეს შეთანხმება არ შეიძლებოდა ყოფილიყო მისი დიდი ვეზირობის დროს, ის განხორციელდება მისი მოადგილის დროს.

აი უკვე ორი თვეა, რაც ანატოლიის საკითხი ვერავინ ვერ გადაჭრა. ყოველთვის რაიმე გადამწყვეტ კითხვის დროს რაღაც ხელს უშლის.

მომავალ ვეზირისაგან ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ორი თვისება: პატრიოტიზმი და გულწრფელობა. თუ მას ექნება გავლენა, ის ადვილად გამონახავს გამოსავალს. პროვინცია, სატახტო ქალაქი და ევროპა უცდის პატიოსან კაცს, რომელსაც ჩვენ მოგვცემს ზავი.

**ებრაელების ემიგრაცია.**

**კონსტანტინოპოლი**, 23 ოქტ. იერუსალიმიდგან იტყობინებიან, რომ ებრაელი ემიგრანტები, რომლებსაც დღეს აქვთ გახსნილი გზა პალესტინისაკენ, მოდიან ჯგუფობით. მიღებულია ზომები რათა გააუმჯობესონ მათი ცხოვრება.

**პარტიული შკოლა მუსულმანებისათვის.**

**მოსკოვი**, 27 ოქტომბერი. ჩელიაბინსკში გაიხსნა პარტიული შკოლა მუსულმან ქალების მოსამზადებლად. პარტიული შკოლის მიზანია მოამზადონ ქალები სოფლებისათვის.

**ბულგარეთში ამხ. გლებოვის ყოფნის შესახებ.**

**ბათუმი**, 6 ნოემბერი. ბულგარეთში მასსების სულიერი განწყობილებას მშვენივრათ გვიხატავს შემდეგი ამბავი. როდესაც სრულიად რუსეთის პროფესიონალური კავშირების საბჭოს წარმომადგენელი ამხ. გლებოვი გამოვიდა ბულგარეთში მრავალრიცხოვან მიტინგზე, რომელიც ღია ცის ქვეშ იყო გამართული, მას მიტინგი ოვაციების ქუხილით შეხვდა. ქუხილისებური ხმაურობა, რომელიც იწვევდა მასსიურ აღფრთოვანებას საბჭოთა რუსეთის მიერ მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ წარმოებულ გრანდიოზული ბრძოლის წინაშე, ხშირათ სწყვეტავდა ფართე მოხსენებას საბჭოთა რუსეთის მდგომარეობაზე. განსაკუთრებული გულდასმით ისმენდა მიტინგი მოხსენების იმ ნაწილს, რომელშიც მომხსენებელმა რუსეთის სოციალისტურ აღმშენებლობაზე ილაპარაკა.

**გერმანიის ფინანსიური მდგომარეობა.**

**ბერლინი**, 20 ოქტ. ექიმი კაროვი დანიშნულია ფინანსთა კომისრათ ფინანსთა სამინისტროსთან კომისიაში, რომელსაც დავალებული აქვს გერმანიის ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესება. გაზეთი „ფორვერსტ"-ი იძლევა წინადადებას დანიშნონ ფინანსთა დიქტატორი.

**დრო ბოლო მოეღოს.**

**მოსკოვი**, 7 ნოემბ. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა მეორეხელ განაცხადა პროტესტი იმის გამო რომ ლატვიის მთავრობა ნებას იძლევა მის სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოხდეს ვრანგელის თეთრგვარდიელებისათვის რაზმების მოგროვება, რითაც ხელს უწყობს მეამბოხე აჯანყებულ ძალებს.

საბჭოთა მთავრობას ცნობა აქვს, რომ მემელში გადმოსხეს 200 აფიცერი, რომლებიც ვრანგელის ბრმიაში მიდიან, აგრეთვე სავინკოვი თავის რაზმებს მხოლოდ და მხოლოდ ლატვიის ტერიტორიაზე აწყობს.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი მოითხოვს ლატვიის მთავრობიდან მიიღოს მან ენერგიული ზომები ამ მოვლენების აღსაკვეთათ.

**დამოკიდებულების აღდგენა გერმანიასთან.**

**პეტროგრადი**, 7 ნოემბერი. გერმანიის მთავრობამ ნება დართო, რომ საბჭოთა რუსეთში გადაგზავნილ იქნას უბრალო ბარათები.

**ჩვენი ემიგრანტები ბულგარეთში.**

**ბათუმი**, 6 ნოემბ. ბულგარეთიდან ჩამოსულების გადმოცემით, ბულგარეთი ავსებულია მოკავშირეების ოფიცრებით და ჩვენი ემიგრანტებით, რომლებიც უკანასკნელ თავის კაპეიკს ხარჯავენ იქ. იქ გაიხსნა ბაზრები საკომისიონერო მაღაზიები, სადაც, მრავლადაა გასასყიდათ მიტანილი ბურჟუაზიის მიერ ოქრო და ვერცხლი და სხვა ძვირფასი ნივთები. ბევრი ემიგრანტთაგანი, რომლებიც წარსულში მაღალ პოსტებზე იდგენ, ეხლა დაჰყიდეს მთელი თვისი ნივთები და შავ სამუშაოზე მუშაობენ და ანპაპიროსებს და გაზეთებს ყიდიან ქუჩებში. აღსანიშნავია რომ ბულგარეთის ბურჟუაზიაც ზიზღის თვალით უცქერის ჩვენგან გაქცეულ კონტრრევოლიუციონერებს. ამ გვარათვე აპყრობიან ემიგრანტების თხოვნებს. ბევრი ემიგრანტთაგანი ეხლა სურვილს გამოთქვამს გასცვალოს ბულგარეთის „სტუმართ-მოყვარეობა" „ბოლშევიკურ რუსეთის" საშინელებაზე.

**ტრანსპორტის საქმე ბულგარეთში.**

**ბათუმი**, 6 ნოემბ. რკინის გზის ტრანსპორტის საქმე ოქტომბრის თვეში სრული კატასტროფამდის მივიდა. სამგზავრო მატარებლებში ფანჯრებში მინების მაგიერ ფიცრებაა ჩაშენებული. ვაგონებს არც ათბობენ და არც ანათებენ. მატარებლების მიმოსვლა დაგვიანებით სწარმოებს.

**ეკონომიურ კრიზისის ზრდა.**

**ბათუმი**, 6 ნოემბ. ბულგარეთიდან დაბრუნებული პირები გადმოგვცემენ, რომ იქ ეკონომიური კრიზისი თანდათან იზრდება. ანტანტის ქვეყნებიდან შემოტანილი საქონლის რაოდენობა ძლიერ განსაზღვრულია. სათადარიგოთ შემონახული საქონელი უკვე გამოილია. მუშებში დიდ გავლენას პოულობენ. ბრძოლა სწარმოებს ხელფასის მომატებისათვის, რომელიც (ხელფას) არ ეთანხმება საქონლის ბაზრის ფასს. ეს იქიდან სჩანს რომ ეხლა მუშის ხელფასი 25—30 ლევამდის არი დღეში, როდესაც მინიმალური რაოდენობის სადილი 20 ლევია ე. ი. 27 მანეთი ნიკოლოზის ფულით.

# საბჭოთა რუსეთში

**დონის ქვანახშირის ოლქში.**

**მოსკოვი**, 3 ნოემბ. ნახშირის წარმოების სიეხდზე გამოირკვა, რომ დონის ოლქში იმოშობა სწარმოებს მხოლოდ მაღაროების ნახევარ ნაწილში. მუშაობს 20 ათასი მუშა. განზრახულია პროგრამის მიხედვით 240 მილიონ ფუთი ნახშირის დამზადება. დამზადებული კი იქნება 60 მილიონით მეტი.

**წითელ ფრონტის დახმარება**

**მოსკოვი**, 7 ნოემ. როსტოვის სახაკლაოს მუშებმა და მოსამსახურეებმა წითელ ფრონტს შესწირეს ორი კვირის ხელფასი და ვალდებულათ გაუხადეს თავის ოჯახის წევრებს ერთი კვირის განმავლობაში კერონ წითელ არმიელთათვის თეთრეულები. გომელის წუმწუმის ფაბრიკის „სოციალიზმის ალიონი" ფრონტის დამხმარე მთელი კვირის განმავლობაში მუშაობდენ ორ-ორი საათ ზედმეტათ და წითელ არმიელთათვის გადადვეს ორი კვირის ხელფასი.

**ბურჟუაზიის გადასახლება**

**კავკავი**, 4 ნოემბ. ბურჟუაზიის გადასახლება ცენტრიდან მოხდება თერგის პროფესიონალურ კავშირების საბჭოს ახლო ხელმძღვანელობით.

**პეტროგრადის ქალაქის გეგმა.**

**მოსკოვი**, 27 ოქტ. ადგენენ გეგმას პეტროგრადის მდგომარეობის ხქემას, რომ პეტროგრადის ახალი გენერალურ გეგმა ქალაქის შესდგეს.

**წითელ პიტერში.**

**პეტერბურგში**, 28 ოქტ. ეწყობა ახალი ფილოლოგიური ინსტიტუტი, რომლის მიზანია ახალი ენების წარმოშობის ისტორიის შესწავლა.

# საბჭოთა აზერბეიჯანში

**ნახიჩევან-ზანგიბასარის რაიონში საქმის ვითარება.**

**ბაქო**, 25 ოქტ. დელეგაციამ, რომელმაც იმოგზაურა ნახიჩევან-ზანგიბასარის რაიონში საქმეების გამოსარკვევად, შემდეგ ანგარიშს აქვეყნებს გაზ. „ახ. კომუნისტ"-ში:

„ივლისის დასაწყისში დაშნაკებმა შეუტიეს ზანგიბასარს და ანადგურებდენ რა გზებში ყველაფერს, ეს სისხლიანი შეტევა დაასრულეს სოფ. შახტახტის აღებით. მუსულმანებმა, წარსული მწარე გამოცდილების გამო „მაუზერისტებ"-ის შეტევის გამო დატოვეს ყველაფერი და გაიქცენ. საშინელება ამ არაჩვეულებრივ შეტევისა იმდენად დიდია, რომ აღწერაც კი არ შეიძლება. ზანგიბასარის რაიონში გადამწვარია 48 სოფელი, 160 ათასი მცხოვრები დარჩა უბინოთ ცის ქვეშ სპარსეთში, სადაც გაიქცენ გადახვეწილები. ვედიბასარის რაიონში გადამწვარია 118 სოფელი, დარალაგის რაიონში—74 სოფ., შარურის და შახტახტის რაიონში—76 სოფ. ყველა ამ რაიონებიდგან გაუდევნიათ 50.000 ათასი სული ჯოგი. ყველგან მცხოვრებლების ქონება განადგურებულია და გაძარცვული. 500 ათასი მცხოვრები დაგლახაკდენ. ზანგიბასარის რაიონიდან წაყვანილია 18 ახალგაზრდა ქალი და ქალწული, დახოცილია 400-ზე მეტი ბავშვი; აგრეთვე 100 ავადმყოფი, რომლებმაც ვერ გაასწრეს გაქცევა, ცეცხლში დაიღუპა, 150 მოხუცი მოკლულია ზარბაზნების ყუმბარებისაგან; გაქცევის დროს არაქსში დაიხრჩო 816 კაცი. 160-ზე მეტი ბავშვი, რომლებმაც ვერ გადაცურეს წყალში, მოკიდენ ხელი ნაპირის ბუჩქებს და ასე იყვნენ ორი საათის განმავლობაში სანამ დაშნაკელებმა არ მოუსწრეს და ხიშტებით არ ამოხოცეს. ვედიბასარის რაიონში არტილერიის ცეცხლისაგან დაიღუპა 900 კაცი, მოიტაცეს 6 ქალი, დახოცეს 300 ბავშვი და მოხუცი. შარურის რაიონში მწყემსებში დახოცეს 810 ავადმყოფი, 150 მოხუცი ამოხოცეს, 718 ბავშვი მოკლეს, წაიყვანეს 144 ქალი, დაიღუპა არტილერიის ცეცხლისაგან 72 კაცი. შახტახტინის რაიონიდან წაყვანილია 3 ქალი, დახოცილია 35 ბავშვი, 14 მოხუცი მამა კაცი, 8 მოხუცი დედა კაცი და 9 ავადმყოფი.

არც უკეთესად იყო საქმე სპარსეთში გადახვეწილების. სრული უქონლობა, სურსათის ნაკლებობა და ფულის აიძულებდა ნახევარ მილიონიან მცხოვრებლებს დაეწყოთ მათხოვრობა სპარსეთის მახლობელ სოფლებში; სიმშილმა, მოთხოვნილებამ და უსახლკაროდ ცხოვრებამ გაავრცელა გადახვეწილებში სხვა და სხვა სენი. ამ საშინელ მდგომარეობაში მოუსწრო ამ უბედურ ხალხს სპარსეთში წითელ არმიის მოსვლამ ნახიჩევანში. სახლებში დაბრუნების იმედით, ამ მასსის დანარჩენებმა, შარშანდელ გადახვეწილებთან ერთად ისევ ასეთი ვერაგობის დაშნაკელების მიერ ჩადენილის შეოხებით, დაბრუნდენ ნახიჩევანში, საიდანაც შემდეგი წინსვლა შეუძლებელი იყო, ვინაიდან დაშნაკელების მიერ დაკავებული ადგილები ისევ მათ ხელში იყო. ჩვენი დელეგაციის ბაქოსკენ გამგზავრებამდის დაიღუპა სიმშილისაგან და და ავადმყოფობისაგან 45,000 გადახვეწილი.

ამას უნდა მიუმატოთ ისიც, რომ დაშნაკელებმა დატყვევეს ჩვენი სამი დელეგატი-კომუნისტი, რომლებიც გაგზავნეს მოსალაპარაკებლად და რომლების ბედი ახლაც არ ვიცით.

ახლა სპარსეთში იმყოფება 70,000 გადახვეწილი, რომლებიც განიცდიან ყოველ მხრივ შევიწროებას ხანებისაგან. დანარჩენი 400.000 მცხოვრები კი თავმოყრილია ნახიჩევანის მიდამოებში ცის ქვეშ მინდვრებში, მთვრები და ნახევრად ტიტვლები. ცუდ საჭმლისაგან და სიმშილობისაგან ყოველდღე ხდებიან ავათ და იხოცებიან ასობით. ერთი სიტყვით ნახიჩევანის ოლქში ხდება საშინელი სურათი, იხოცება ნახევარ მილიონიანი მშრომელი ხალხი—ერევნის ნახევარ გუბერნიისა. ერთად ერთი ხსნა საშვალება ამ მომაკვდავ ხალხის სახსნელად არის მათი სამშობლოში დაბრუნება, სადაც შარურის მაზრაში დათესილია იმდენი ქერი, რომელიც ეყოფა ყველა გადახვეწილებს. ეს პირველი და მთავარი მოთხოვნილებაა, რომელსაც დელეგაცია უდგენს მუშურ-გლეხურ მთავრობას და წითელ არმიას.

მშრომელი გლეხობა დაშნაკელების მიერ განადგურებულ ადგილებისა თავის იმედებს ამყარებს წითელ აზერბაიჯანზე და წითელ არმიაზე და ელიან პროლეტარიატის დაუყოვნებლივ დახმარებას".

**ამხ. ლენინის, სახელობის ფაბრიკაში.**

**ბაქო**, 30 ოქტ. ამხ. ლენინის სახელობის ფაბრიკამ აგვისტოში დაამუშავა 371,488 არშინი, სექტემბერში 561,532 არშინი.

# დღიური.

ყირიმის ფრონტზე მზვერავთა მოქმედებაა.

ბოლგარეთის მუშებმა დიდი ოვაციები გაუმართეს რუსეთის პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენელს ამხ. გლებოვს.

ინგლისის მუშები თხოულობენ ნახშირის მაღაროების სოციალიზაციას და საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენას.

საფრანგეთში გაფიცვები იზრდება.

# რევოლიუციის ფრონტებზე

**რევოლიუციის კარებთან**

**ანგორა**, 20 ოქტ. გაზეთ „ენი გიუნ"-ში დაბეჭდილია ერთი სტატია, სადაც სხვათა შორის სწერია: „ჩვენ რევოლიუციის კარებთან ვართ. ჩვენი სურვილია ეს კარები შეიარაღებული ძალით შევაღოთ, რადგან ამ კარების იქეთ ჩვენ მოგველის ბედნიერება. მასთან ერთად ჩვენ ვალდებული ვართ ეხლავე მოვსპოთ ჩვენი მთავრობის მანქანა, შევიძინოთ ახალი მანქანა, რადგან ეს უპირველესი პირობაა გამარჯვებისათვის. შემდეგ უნდა გამოვიმუშაოთ სწორი სამოქმედო პროგრამა, რომლის მიხედვითაც წავალთ წინ. რევოლიუციის დროს საჭიროა გაბედულობა და ძველი ცრუმორწმუნეობის მოსპობა. ზევით თქმულის მიხედვით ჩვენ იმ დასკვნამდის მივდივართ, რომ ჩვენთვის აუცილებელი საჭიროა ცენტრალური მთავრობა და ადგილობრივი თვით მართველობა. ცენტრალური მთავრობა დაიცავს ხალხის ეკონომიურ და პოლიტიკურ უფლებებს. სახელმწიფოს დაცვის საქმე, არმია, უფლება, ფოსტა-ტელეგრაფი, ყველაფერი ეს უნდა იქნას ცენტრალურ მთავრობის განკარგულებაში. ცენტრალურ მთავრობის კერძო წარმომადგენლები იქნებიან პროვინციებში (სანჯაკი) რომ უხელმძღვანელონ და გაწვრთნან მმართველობის საქმეში გამოუცდელი ხალხი, აგრეთვე ეს საჭიროა იმისთვის, რომ ცენტრალურ მთავრობას მჭიდრო, ცოცხალი კავშირი ექნეს პროვინციებთან. რაც შეეხება თვით პროგრამას, მან ასეთი ლოზუნგი უნდა წამოაყენოს: მიეცით ხალხს ყოველივე ის, რაც მას ეკუთვნის უფლების ძალით. ეჭვი არ არის, რომ კომუნიზმის ზოგ პუნქტების გატარება ცხოვრებაში სასარგებლო იქნება ხალხისთვის. არ უნდა დაუჯეროთ კაპიტალისტების იმ აგენტებს, რომლებიც ამბობენ რომ არ შეიძლება კომუნიზმის პრინციპების შემოღება მანემდის, სანამ ხალხი არ შეისწავლის თვით მართველობის საქმეს. ამასვე ლაპარაკობდა აბდულ ჰამიდი, როდესაც მას სთხოვეს კონსტიტუციონური მართვა გამგეობის შემოღება.

ამ გვარათ ჩვენ ვფიქრობთ, რომ როგორც არ უნდა ილაპარაკონ კონტრრევოლიუციონურ ბანაკიდან, ყოველ შემთხვევაში, ბევრათ არიან მომზადებული კომუნიზმისათვის.

**6 ნოემბრის სამხედრო ოპერატიული შტაბით ცნობა**

**მოსკოვი**, 6 ნოემბ. 1920 წელი. სამხრეთ ფრონტზე სწარმოებს სროლა და მზვერავთა გაძლიერებული მოქმედება.

# ს. დ. ს. დეპეშები

**საზეიმო სხდომა დიდ. თეატრში.**

გუშინ ოქტომბრის რევოლიუციის სამი წლის თავზე დიდ. თეატრში შესდგა საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრენ საბჭოთა სახალხო კომისრები, სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტი, მოსკოვის საბჭოს წევრები და სხვები. თეატრი სავსე იყო. პირველად ილაპარაკა ამხანაგმა ლენინმა, რომელმაც სთქვა: დღეს ჩვენ გამარჯვებას ვდღესასწაულობთ. იგი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ წარმოუდგენელ სიძნელეში ვიმარჯვებდით სამი წლის განმავლობაში და ბოლოს გავიმარჯვეთ. კიდეც ჩვენ გავიმარჯვეთ იმიტომ, რომ შევძელით დაგვეცვა თავი ჩვენზე უფრო ძლიერ სახელმწიფოებიდან გაიძვერა კაპიტალისტებიდან და ექსპლოატატორებიდან. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი საქმე არის საერთაშორისო საქმე. სანამ ყველა სახელმწიფოში არ მოხდება ოქტომბრის გადატრიალება, მანამ ჩვენი გამარჯვება არ იქნება სრული. ამჟამად სწარმოებს ძლევა მართალი ბრძოლები ვრანგელთან. ჩვენ ამ დღეებში შევსძლებთ ყირიმის აღებას. თავგანწირული ბრძოლით დავამტკიცეთ ჩვენ, რომ ჩვენ შეგვიძლია მივსცეთ ქვეყანას არამედ თითო ოროლა გმირები რამე ასობით და ათასობით. საჭიროა აგრეთვე სასტიკი ბრძოლის წარმოება სამეურნეო ფრონტზე. მუშების და გლეხების მკლავზეა დამოკიდებული მეურნეობის გადარჩენა, დაასრულა თავისი სიტყვა ლენინმა. ტროცკიმ, რომელსაც ხალხი დიდი ოვაციებით შეხვდა, სთქვა: ამ სამი წლის განმავლობაში ჩვენ გავმდიდრდით გამოცდილებით. ჩვენ გადავედით საზღვარზე და უკან დახევა აღარ შეიძლება. მსოფლიოს ბურჟუაზიის ცდა, რომ ჩვენ უკან დავიფიეთ, მათთვის სასტიკი დამარცხებით დასრულდა. უკანასკნელი ჩვენი მიზანი არის გადავაბიჯოთ ყირიმის საზღვარს და ამოვსრისოთ მსოფლიო იმპერიალიზმის დაქირავებული ბარონი ვრანგელი.

ჩვენ შევსძლებთ მის განადგურებას და ამ რიგათ უმთავრეს ძალებს გადავისვრით სამეურნეო ფრონტზე. კიდევ ერთი საზღვარი უნდა გადალახოს მსოფლიო პროლეტარიატმა. ამ ლაშქრობაში მოსკოვისა და პეტროგრადის პროლეტარებს არა უკანასკნელი ადგილი უჭირავს. დასასრულ კომუნიზმის იდეისათვის ბრძოლაში დაღუპულებს სხდომამ ფეხზე დგომით პატივი სცა. (როსტა).

**მოსკოვი**, 7 ნოემ. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: 1) სრულიად რუსეთის საბჭოთა მერვე ყრილობა დაინიშნოს 1920 წლის დეკემბრის 2. ყრილობის დღიურ წესრიგად დამტკიცდეს შემდეგი: 1) მოხსენება აღმასრულებელ კომიტეტისა გარეშე და შინაურ პოლიტიკის შესახებ. 2) სახალხო მეურნეობის აღდგენის ძირითადი მიზნები. 3) მრეწველობის აღდგენა. 4) ტრანსპორტის აღდგენა, 5) სას.-სამეურნეო წარმოების განვითარება 6) ბრძოლა ბიუროკრატიზმთან. 7) სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტის არჩევა, ბ) მომწყობი კომისიის დამტკიცება შემდეგი შემადგენლობით: ენუქიძე, ლევოგინოვი, მაქსიმოვსკი, ფელდმანი, კუზიაკოვი და ლისიციანი, გ) სამანდატო კომისიის დამტკიცება მიენდოს ცენტრ. კომიტეტის სეკრეტარიატს დაამტკიცოს ყრილობისათვის საჭირო ხარჯები ცენტ. აღმ. კომ. თავმჯდომარე კალინინი, მდივანი ენუქიძე. (როსტა).

# კომუნისტების დევნა.

4 ნოემბერს მთავარ სახელოსნოს მუშა, ჩვენი ორგანიზაციის პირველი რაიონის წევრი, ამხ. მურდალიშვილი გამოვიდა თუ არა თბილისის კომიტეტის ბიუროდან, დატუსაღებულ იქნა საგანგებო რაზმის აგენტის მიერ.

ამჟამად ის იმყოფება მეტეხის ციხეში.

---

გუშინ ღამის სამ საათზე ვბრუნდებოდი საბჭოთა მისსიაში გამართულ კონცერტიდან, იქვე მოსახვევში შემხვდა განსაკუთრებული რაზმის უფროსის თანაშემწე ჩიკვაიძე. იმის შეკითხვაზე: „ვინ ხართ? საიდან მოდიხართ?"—მე ვუპასუხე, თუ სად ვიყავი და ვინ ვარ. მან ჩვეულებრივი ლანძღვა-გინებით შემიყვანა კომისარიატში იქვე და გამგზავნა განსაკუთრებულ რაზმში, თვითონ კი წავიდა დანარჩენ ამხანაგებზე სანადიროთ, რომლებიც კი გამოვიდოდენ მისსიიდან.

განსაკუთრებულ რაზმში შემხვდენ ლანძღვა-გინებით: „შენ ხარ მოღალატე საქართველოსი, შენ დასახვრეტი ხარ" და ასეთი. ცოტახნის შემდეგ გამოვიდა ბ. ჩიკვაიძეც. მან დამიწყო ისეთი უშვერი და უმსგავსო სიტყვებით ლანძღვა გინება, რაიც პატიოსან ადამიანის პირიდან არ წარმოითქმის. ბოლოს, როგორც იქნა ბევრი ლანძღვა-გინების შემდეგ გამომიშვეს.

ბ. კ—ძე.

დრ. რედაქტორი: ლ. სუხიშვილი.